



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 142/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა კვიციანი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2011 წლის 23 ივნისს იგი დააკავა ქ. თბილისის ფინანსურმა პოლიციამ. დაკავების დღიდან მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, რომელსაც ყველა მოქმედება მასთან შეთანხმების საფუძველზე უნდა შეესრულებინა. მისი განცხადებით, მან 2011 წლის 27 თებერვალს აღმოაჩინა 2011 წლის 19 ივლისით დათარიღებული, სრულიად უცნობი აღიარებითი ჩვენება, რომელიც იყო მისი სახელით შედგენილი, ხელმოწერილი, დამოწმებული მისი ადვოკატისა და გამომძიებლის ხელმოწერით. ამ აღიარებითი ჩვენების აღმოჩენიდან 3 დღეში, მას ხუთწლიანი პატიმრობა შეუფარდეს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 19 ივლისს იგი ადვოკატს საერთოდ არ შეხვედრია, მით უმეტეს, რომ ოქმის შედგენის მითითებულ დროს, 13 საათიდან 17 საათამდე, ის იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების საგამომიებო ოთახში სხვა ადვოკატთან ერთად. კლიენტის განცხადებით, აღნიშნული ჩვენება შედგენილი იყო ადვოკატისა და გამომძიებლის ერთობლივი მოქმედებით, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ბრალეულობის დამტკიცებას და რის გამოც იგი იძულებული იყო სააპელაციო სასამართლოში დათანხმებოდა საპროცესო შეთანხმებას საკმაოდ წამგებიანი და მისთვის სავალალო პირობებს. შესაბამისად, მან ნდობა დაკარგა ადვოკატის მიმართ და სხვა ადვოკატი აიყვანა საკუთარი ინტერესების დასაცავად. საჩივრის ავტორის არგუმენტების საწინააღმდეგოდ, ადვოკატი განმარტავს, რომ იგი სხვა ადვოკატთან ერთად, კლიენტის ინტერესებს იცავდა დაკავების დღიდან. ხოლო, წინასწარი გამომძიების ეტაპზე, ადვოკატი პირადად წარადგენდა მის დაცვის ქვეშ მყოფს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 19 ივლისს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში იმყოფებოდნენ საჩივრის ავტორი, გამომძიებელი, მეორე ადვოკატი და თავად. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექციის მიერ 2012 წლის 03 მარტს გაცემული ცნობა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა გამომძიებლისთვის ჩვენების მიცემის მერე ხელი მოაწერა ჩვენების ოქმს. მოცემულ ოქმს ადვოკატმაც მოაწერა ხელი დადასტურების მიზნით. საჩივრის ავტორმა სასამართლოზეც აღიარა დანაშაული.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა დამოუკიდებლობის, ნდობის, ასევე კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპებით. ადვოკატისთვის კლიენტის ინტერესები უნდა წარმოადგენდეს პრიმატს საკუთარ და სხვა პირების ინტერესებთან მიმართებაში. ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონიერებისა და ეთიკურობის ფარგლებში, უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული დამოუკიდებლობა ზეგავლენის მომხდენი სხვადასხვა ფაქტორისგან. მისმა ქმედებებმა არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ მისდამი საზოგადოების, მით უმეტეს კი კლიენტის ნდობა. ნდობა გამომდინარეობს ადვოკატის ყველა საპროცესო მოქმედების კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და მისი თანხმობით განხორციელებაში, ასევე იმის მოლოდინში, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებული ურთიერთობა იქნება კლიენტის ინტერესებზე მორგებული და ორიენტირებული, ადვოკატი მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კი არ გამოიყენებს ბოროტად, მისი ინტერესების საზიანოდ. საჩივრის ავტორს იმ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ

¹ გადაწყვეტილება 142/12, თარიღი 05.03.2013, <https://gba.ge/pdf/5c529a4d9ee92.pdf/5c529a4d9ee92.pdf>

წარუდგენია, რომ აღიარებითი ჩვენების შედგენის დღეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების საგამომიებო ოთახში, იგი მხოლოდ მეორე ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა და მას იმ დღეს მეორე ადვოკატი არ ხლებია. ადვოკატმა კი საწინააღმდეგო ფაქტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების დირექტორის 2012 წლის 03 მარტს გაცემული ცნობით დაადასტურა. შესაბამისად, ეთიკის კომისიის დასკვნით, საჩივრის ავტორის საჩივარი დაუსაბუთებელია.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე.